

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის სერვისები

მომსახურების დასახელება	მომსახურების აღწერა	მიწოდებისთვის გამოყოფილი ვადა (დღეები)	მომსახურების ტარიფი
<p>გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემა, გადაწყვეტილების მიღება მიმდინარე საქმიანობის გაგძელების შესახებ</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>პირველ რიგში მეწარმე მიმართავს სამინისტროს განცხადებით, სადაც აცნობებს მას თავისი საქმიანობის დაწყების შესახებ და ინტერესდება მასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღების აუცილებლობის შესახებ.</li> <li>სამინისტრო განიხილავს მეწარმის შემოსულ განცხადებას და შემდგომ აცნობებს მას პასუხს მის საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღების აუცილებლობის თაობაზე.</li> <li>სამინისტროდან დადებითი შეტყობინების მიღების შემთხვევაში მეწარმე იწყებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებისათვის კანონით (საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ) დადგენილი საჭირო პროცედურების გავლას.</li> <li>იგი ამზადებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დოკუმენტს. ამ დოკუმენტის მომზადება შეუძლია როგორც თვითონ მეწარმეს, ასევე მეწარმეს მიერ დაქირავებულ გარემოსდაცვით საკონსულტაციო კომპანიას.</li> <li>როდესაც მეწარმე მორჩება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადებას იგი ადგილობრივ და ცენტრალურ გაზეთებში აქვეყნებს განცხადებას მის მიერ დაგეგმილი საქმიანობის საჯარო განხილვის შესახებ.</li> <li>განცხადებაში მან უნდა მიუთითოს საჯარო განხილვის ჩატარების ზუსტი დრო, ადგილი, შენიშვნების მიღების ვადა (შენიშვნების მიღებისათვის განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღეა დადგენილი კანონით) და საჯარო განხილვის ზუსტი თარიღი (კანონის თანახმად საჯარო განხილვა უნდა დაინიშნოს მეწარმის მიერ განცხადების გამოქვეყნებიდან არაუადრეს 50 დღისა და არაუგვიანეს 60 დღისა). ანუ მაგალითად თუ მეწარმემ გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება 1 აპრილს, მან შენიშვნები უნდა მიიღოს 15 მაისის</li> </ol>		<p>500 ლარი</p>

	<p>ჩათვლით, ხოლო საჯარო განხილვა უნდა დანიშნოს 21 მაისიდან 30 მაისამდე შუალედში ნებისმიერ დღეს</p> <p>7. განცხადების გაზეთში გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში მეწარმეს წინასწარ განხილვაზე სამინისტროში შემოაქვს მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. მეწარმემ განაცხადს, წინასწარ გზმ ანგარიშთან ერთად, თან უნდა დაურთოს გაზეთები, რომლებშიც მან გამოაქვეყნა ინფორმაცია პროექტის გზმ ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ.</p> <p>8. განცხადების გამოცხადებიდან 45 დღის განმავლობაში მეწარმე პროექტთან დაკავშირებით დაინტერესებული საზოგადოებიდან და მათ შორის სამინისტროდან იღებს (აგროვებს) შენიშვნებს.</p> <p>9. საჯარო განხილვაზე ფიქსირდება პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები.</p> <p>10. საჯარო განხილვის შემდეგ, 5 დღის ვადაში დაინტერესებული საზოგადოებიდან მიღებული შენიშვნებისა და საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების დაფიქსირების მიზნით, მეწარმე აფორმებს საჯარო განხილვის ოქმს, რის შემდგომაც ყველა გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით მან უნდა გადაამუშაოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. მეწარმეს შეუძლია არ გაითვალისწინოს პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული კონკრეტული შენიშვნები, მაგრამ მან ეს უნდა დაასაბუთოს არგუმენტირებულად.</p> <p>11. მეწარმეს საბოლოო, გადამუშავებული გზმ ანგარიშის შემოტანა სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად შეუძლია ერთი წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს.</p> <p>12. მეწარმეს სამინისტროში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან ერთად შემოაქვს საჯარო განხილვის ოქმი, საქმიანობის განხორციელების სიტუაციური გეგმა, მოკლე ანოტაცია (აღწერილობა) თავისი პროექტის შესახებ, მოსალოდნელი ემისიების რაოდენობა და სახეები.</p> <p>13. კანონით მოთხოვნილი დოკუმენტაციის სამინისტროში სრულად წარმოდგენისთანავე იწყება ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესი.</p>		
--	--	--	--

	<p>14. ეკოლოგიური ექსპერტიზის დაწყებიდან 20 დღის ვადაში დგება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა თავისი პირობებით, რომლის საფუძველზეც გაიცემა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები გარემოზე ზემოქმედების ნებართვის განუყოფელი და შემადგენელი ნაწილია.</p>		
--	---	--	--